

სკოლამდელი აღზრდის ცენტრი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ულოცავს ყველა პატარას. ნათელი და წარმატებული მომავალი გქონოდეთ.

თქვენ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე ხართ. ჩვენს სამშობლოს ყველაზე მეტად სჭირდება თქვენი ნიჭიერება და წარმატება.

**მაკა ჭყონია**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი



ძვირფასო ბავშვებო, მოგესალმ-ებით და გილოცავთ თქვენს მზის სხივებით გაცისკროვნებულ დღესასწაულს, გისურვებთ, გეცხოვროთ ლაღად და ბედნიერად ისეთ მომავალ საქა-რთველოში, სადაც ბოლომდე შეიგრძ-ნობთ ამქვეყნიურ ჰარმონიას.

**ლელა შარაშენიძე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის დირექტორი



ჩვენო პატარებო, საუკეთესო სურვილებით ვუერთდებით თქვენს დღესასწაულს, იყავით კარგები და სასწაულები. გახსოვდეთ, ჩვენ თქვენთვის ვქმნით ბედნიერ ბავშვურ თეატრალურ სამყაროს. მალე შევხვდებით.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი.**


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოცემა. № 22 (10315) 3 ივნისი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.




ბავშვთა სამკურნალო ცენტრი ულოცავს ყველა პატარას ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას, წარმატებებს მომავალ ცხოვრებაში. თქვენი ცოდნა და განათლება ყოფილიყოს თქვენი ბედნიერი ცხოვრების საწინდარი.


„ენერგო-პრო ჯორჯიას"

ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!


## გინებაც გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის მაჩვენებელია (?!)

**ალიონი.** გასულ ხუთშ-აბათს ოზურგეთში საქართველოს სახალხო დამცველი **ნინო ლომჯარია** იმყოფებოდა. იგი ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სხვადასხვა სკოლის უფროსკლასელებს, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრის თემა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები და სახალხო დამცველის კომპენტენციაში მყოფი სხვა თემების გაცნობა იყო. ისაუბრეს ქალთა მიმართ ძალადობის მაღალ მაჩვენე-ბელზე, შშმ პირების მდგომარეობაზე, სკოლის ასაკის ბავშვების სეზონურ შრომით მიგრაციაზე მეზობელ სახელმწიფოში, ეკოლოგიის საკითხებზე. სახალხო დამცველმა არაერთ კითხვას გასცა პასუხი.

გამოხატვის თავისუფლების თემით დაინტერესდა ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე **ჯუმბერ დუნდუა,** რომელმაც ზოგიერთ საინფორმაციო საშუალებებში ამ ბოლო დროს ბილწსიტყვაობის მოჭარბებაზე დასვა კითხვა..



**ნინო ლომჯარია:** *-ეს პირველ რიგში მედიაეთიკის თემაა, რაც არის თვითრეგულირების დარგის საკითხი. ჩვენთან არის გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტები. ვერავინ ვერავის ეტყვის, როგორ გამოხატოს თავისი თავი, როგორი ფორმით თქვას. რა თქმა უნდა, არსებობს მკაცრი სტანდარტები სახელმწიფო ორგანოებისთვის და იქ დასაქმებული პირებისთვის, რაც სახელმწიფო სამსახურის კოდექსით და ეთიკის სტანდარტებით რეგულირდება. მაგალითად, საჯარო მოხელემ არ შეიძლება გამოი-ყენოს სიძულვილის შემცველი ენა ეთნიკური წარმოშობის, რელიგიური მრწამსის ან პოლიტიკური შეხედულების ადამიანების მიმართ. ეს შიდა სტანდარტებით რეგულირდება, მაგრამ, როცა ტელევიზიაში არასაჯარო, საჯარო პირი ან თანამდებობის პირი გამოხატავს რაიმეს მიუღებელი ფორმით, მათ შორის ჩვენთვის იყოს აღმაშფოთებელი და შეურაცმყოფელელიც კი, ეს არის საკითხი, რომელსაც ჩვენი კონსტიტუციით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით იცავს ჩვენი კანონმდებლობა. რაც არ უნდა მიუღებელი იყოს, ადამიანის გამოხატვის ფორმა, თუკი ის არ გადადის მუქარაში,ისეთ მუქარაში, რაც რეალურად საფრთხეს წარმოადგენს, ახალისებს დისკრიმინაციას და ქმნის რეალურ საფრთხეს, რომ რომელიღაც ჯგუფი დაექვემდებაროს რეალურ ჩაგვრას ან ძალადობას. დანარჩენ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლება, პირველ რიგში, იცავს იმ აზრს, რაც სხვებისთვის არის მიუღებელი. ის აზრი, რაც მისაღებია, ისედაც დაცულია.*

*რაც ჩვენთვის მიუღებელია, იმას ხომ არ ვკითხულობთ. ბევრი რამ არ მომწონს..*

**ჯუმბერ დუნდუა:** *-სახალხო დამცველმა უნდა გამოასწოროს, რაც ხალხისთვის მიუღებელია, ჩემი აზრით, ისეთი გამონათქვამები, რაც „რუსთავი-2"-ზეა, იქ არის მუქარის შემცველიც..*

**ეკა რცხილაძე,** *სახალხო დამცველის მოადგილე: —მუქარა, როდესაც თქვენ ამბობთ, როცა მუქარის შემცველია, ჰყავს კონკრეტული ადრესატი. ის უნდა გრძნობდეს რეალურ საფრთხეს ამ მუქარის გამო. უნდა იყოს რეალური ალთქმა და სახალხო დამცველი ვერ შეაფასებს კონკრეტული ბილწსიტყაობა იქნება თუ ნების-*

გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;



**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**



*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100



გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი დილა «ალიონით»


# სამუშაო შეხვედრა ჩაის გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებზე



„**GURIA BIO TEA COMPANY LTD**“ - ის მფლობელი მინგ შანგ ჰუანგი, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულს ზურაბ ნასარაიას შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა, რეგიონში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრეს და ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდენ.

„დღეს რწმუნებულს წარვუდგინე სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ ეტაპებს, თუ როგორ განხორციელდება გურული ჩაის თანამედროვე ტექნოლოგიებით გადამუშავება. დაგეგმილია მიზნობრივი ტრენინგები, იმ მწარმოებლებისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ჩაის გადამუშავების კუთხით დანერგონ ახალი ტექნოლოგიები. მინდა მადლობა გადავუხადო ზურაბ ნასარაიას მხარდაჭერისთვის და დარწმუნებული ვარ, ჩვენი შემდგომი თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი“ - განაცხადა მინგ შანგ ჰუანგმა.

ამ ეტაპზე „**GURIA BIO TEA COMPANY LTD**“ თანამშრომლობს ანასეულისა და შემოქმედის ჩაის საწარმოებთან, სადაც პირველ ეტაპზე დაინერგება ახალი ტექნოლოგიები. სამომავლოდ კომპანია დაინტერესებულია გურიაში ჩაის ფაბრიკის აშენებით და წარმოებული პროდუქციის ექსპორტით. იგეგმება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და საწარმოსთვის საჭირო დანადგარების შემოტანაც.

შეხვედრა ესწრებოდნენ აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელი თეიმურაზ მიხანაშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ალეკო მამეშვილი და რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომელი კახაბერ ტოტოჩავა.

# „მხიარულმა სტარტებმა“ მხიარულად ჩაიარა



გაზაფხულის მიწურულს ოზურგეთის მესამე საბავშვო ბაღის ეზო ლამაზად მორთეს. ბავშვების მშობლების და საბავშვო ბაღის თანამშრომლების ძალისხმევით „მხიარული სტარდები“ მართლაც სახალისო და როგორც პატარებისთვის ასევე დიდებისთვისაც კარგი გასართობი გამოდგა.

თავდაპირველად ბაღის მენეჯერი, კესო ცეცხლაძე მიესალმა სტუმრებს. ბავშვებს წარმატება უსურვა ხოლო მშობლებს მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზებაში დახმარებისთვის. ამის შემდეგ „ჩიორებმაც“ აიღეს სტარტი. სტუმრებს სახელმწიფო დროშითა და ჰიმნით მიესალმნენ. ბავშვები ერთმანეთს სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში ეჯიბრებოდნენ. პატარებთან ერთად შეჯიბრში მშობლებიც მონაწილეობდნენ. თამაშების ბოლოს მონაწილეებს თასები და მედლები გადაეცათ. პატარებმა საფინალო სიმღერის ფონზე ცაში ბუშტებიც გაუშვეს. მხიარულ სტარტებს ააიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი, მაკა ჭყონია ესწრებოდა. „ეს იყო ბავშვებზე ასაკობრივად ზუსტად მორგებული აქტივობა რომელიც როგორც ფიზიკური ასევე გონებრივი განვითარებისკენ არის მიმართული. მადლობა ბავშვებს და მათ არაჩვეულებრივ დედიკოებს იმიტომ რომ ჩვენი სწავლების ხარისხის სტანდარტის ერთ-ერთი განმსაღვრელი სწორედ მშობლების ჩართულობაა“ თქვა მან.

ღონისძიებას დაესწრო და ბავშვებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა პედაგოთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, როზა გოგუაძე. „ ბავშვებო, მშობლებო ძალიან ლამაზი დღე გვაჩუქეთ. ძალიან ლამაზები იყავით. თუ ამ ასაკიდან არ დავიწყეთ ბავშვების ფიზიკური აღზრდა და გონებრივი განვითარება ბოლოს შედეგს ვერ მივიღებთ. ჩვენ დღეს დავინახეთ რომ ამ ბაღში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას“ თქვა მან.

ღონისძიებაში 4-5 წლიანათა ჯგუფის 35 აღსაზრდელი მონაწილეობდა. ბავშვები ღონისძიებისთვის აღმზრდელებმა სოფო ქარჩავამ, თეა ინწკირველმა, ხათუნა ლომაძემ, მეთოდისტი, ნაირა ლომთაძე და მუსიკის მასწავლებელმა, ცირა დოლიძემ მოამზადეს.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში 450 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის პროექტირება იწყება

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 29 მაისს გამოაცხადა ელექტრონულ ტენდერი ოზურგეთის დაბა ურეკში 450 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7,343,779 ლარს.

სატენდერო წინადადების მიღების ვადა სრულდება 19 ივნისს.

# კონფერენცია სახელმწიფო ენის ცოდნისა და ინტეგრაციის საკითხებზე



გურიაში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, კონფერენციას „სახელმწიფო ენა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის საქართველოში“ და-ესწრო.

ღონისძიება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ორგანიზებით გაიმართა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გახსნა.

პრეზიდენტის შემდეგ საზოგადოებას სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ირინე აბულაძე და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე მიესალმნენ.

კონფერენციის ფარგლებში, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას, სახელმწიფო მინისტრის აპარატს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკას შორის ხელი მოეწერა ოთხმხრივი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანიც ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით სასწავლო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროექტების განხორციელებაა.

# ოზურგეთის თეატრი აღმოსავლეთ ევროპის ტურნედან წარმატებული დაბრუნდა

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში მომდევნო კვირაში გაიმართება პრესკონფერენცია ორკვირიანი საგასტროლო ტურნეს შესახებ.

თეატრის ოფიციალური ფეისბუქგვერდიდან გავრცელებული ინფორმციის თანახმად ბულგარელი დრამატურგის ანა პეროვას პიესა „კოცნა“ ბულგარელი რეჟისორის ნევენა მიტევასა და ოზურგეთის თეატრის დასისათვის ახალი წარმატებების მიზეზი გახდა - ქალაქ ვრაცაში სპექტაკლი ორი ნომინაციის გამარჯვებული გახდა - თანამედროვე ბულგარული დრამატურგიის საუკეთესო გადაწყვეტა და ქალის როლის საუკეთესო შესრულება.

ქალის როლის საუკეთესო შესრულების ნომინაცია დაიმსახურა მსახიობმა თამარ მდინარაძემ სპექტაკლში ბებოსა და გერმანელი ქალის როლებისათვის.

თამარ მდინარაძემ იგივე ნომინაცია




იგივე როლებით ხერსონში „ტავრის მელპომენეს“ ფესტივალზეც მოიპოვა.

ასევე, წარმატებული აღმოჩნდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატის, ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატის ვასო ჩიგოგიძის ინიციატივა გენიჩესკ--ოზურგეთის მეგობრობის განახლება- განმტკიცების თაობაზე.

ვრცელ ინფორმაციას გაზეთის შემდეგ ნომერში მოგაწვდით.

# გინებაც გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის მაჩვენებელია (?!)



მიერი გამოხატვის ფორმა. სახალხო დამცველი არის არა საგამოძიებო, არამედ თანასწორობის ორგანო, რომელიც უყურებს კონკრეტული პირის, მათ შორის საჯარო პირების გამონათქვამებს, ახალისებენ თუ არა ისინი დისკრიმინაციას. დისკრიმინაციის წამახალისებლად რომ მივიჩნიოთ კონკრეტული გამონათქვამი, მკაცრი კატეგორიია, მათ შორის საერთაშორისო, მაგრამ ერთია ამ ადამიანას უნდა ჰქონდეს წვდომა საზოგადოებაზე და მეორე –მის მიერ გამოთქმული მოსაზრება უნდა იყოს წამქეზებელი კონკრეტული ჯგუფის...

**ჯუმბერ დუნდუა:** –როგორ, მათ არ აქვთ მხარდაჭერა ნაციონალური მოძრაობიდან, როცა მათი ლიდერები ამას აკეთებენ?

**ეკა რცხილაძე:** –კონკრეტული მაგალითი გვითხარით..

**ჯუმბერ დუნდუა:** –ვერ გავიმეორებ იმ სიტყვებს, რასაც იქ ამბობენ...

**ეკა რცხილაძე:** –შეურაცხმყოფელი სიტყვები შეიძლება გამოიყენონ, მაგრამ შეიძლება ის არ იყოს დისკრიმინაციის წამახალისებელი, რომელზეც რეაგირებას სახალხო დამცველის მანდატი ითვალისწინებს.

**დარბაზიდან:–** როცა საინფორმაციო საშუალების ლიდერი ბილწსიტყვაობს, ეს დისკრიმინაცია არ არის?

**ნინო ლომჯარია** –საინფორმაციო საშუალება ეს კერძო ტელეკომპანიაა. თუ ნიკა გვარამია გაათავისუფლებს ჟურნალისტს სამსახურიდან, ვთქვათ მან კარგი პოსტი დაწერა „ქართულ ოცნებაზე“, თუ ჟურნალისტის პოლიტიკური შეხედულება განსხვავდება ნიკა გვარამიას შეხედულებისაგან და ამის გამო დაჩაგრავს თანამშრომელს და გაათავისუფლებს სამსახურიდან,ამას ჩვენ შევისწავლით და ეს იქნება ჩვენი მანდატი, მაგრამ თუ გვარამია ვინმეს შეაგინებს, ეს არ არის სახალხო დამცველის მანდატი. ამისთვის მოქალაქემ შიდა ეთიკის კომისიას ან საბჭოს უნდა მიმართოს, რომელიც სწავლობს ამ საკითხს.

ჩვენთან არაა ცენზურა, ეს ბედნიერებაა ნებისმიერი ქვეყნისთვის. შეიძლება საბჭოთა კავშირში არ იგინებოდნენ, მაგრამ გინების ტოლფასი იყო თავისუფალი აზრის გამოხატვა ტელევიზიის მეშვეობით.

მინდა ახალგაზრდებმა ამ თემას სხვა თვალით შეხედონ, რადგან ჩვენ გვაქვს გამოხატვის ძალიან მაღალი სტანდარტი, თუმცა მეც არაერთხელ ვყოფილვარ უკიდურესად არაეთიკური გამონათქვამების ობიექტი, ჩემს შესახებ არაერთი ცუდი დაწერილა, მუქარის ობიექტი გავმხდარვარ, მაგრამ არ მიფიქრია ამის გამო ვიღაცა უნდა დასჯილიყო ან აეკრძალათ ჩემს მისამართით ცუდი სიტყვების გამოყენება. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს ადამიანის კულტურის ნაწილი. იმიტომ ეს არის გამოხატვის თავისუფლება, რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს დისკომფორტი იყო. ის, რომ რა სიტყვის გამოყენებაა თქვენთვის მისაღები და რა სიტყვის არა, ვფიქრობ იგი უნდა იყოს ადამიანების კულტურის ნაწილი.

**ქეთევან ხიდაშელი,** „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“: – მე ძალიან გავლიზიანდი როცა კვირიკაშვილმა პარლამენტში ბილწსიტყვაობა დაიწყო და მას ჰყავდა კონკრეტული ადრესატი. ეს უნდა წახალისდეს? იყო საჭირო ეს ბილწსიტყვაობა?

**მარინა ჩიხლაძე,** ჟურნალისტი: კვირიკაშვილის მხრიდან ეს იყო ერთადერთი ფაქტი და ათასჯერ დაგმეს.

**ნინო ლოჯარია:** – როგორ გახსოვთ, სახალხო დამცველმა თქვა რამე როცა პრემიერმა შეიგინა?

**ქეთევან ხიდაშელი:** – არ მახსოვს

**ეკა რცხილაძე:** – იმიტომ, რომ სახალხო დამცველი ამას არ განსაზღვრავს, იმის მიხედვით თუ ვინ ამბობს ამას. განსაზღვრავს იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რაც მას აქვს. წარმოგიდგენიათ სახალხო დამცველმა ყველა ასეთ შემთხვევაზე რეაგირება რომ მოახდინოს.

**დარბაზიდან:** სიტყვა უნდა გასამართლდეს.

**ქეთევან ხიდაშელი:** – როცა რაღაც არ მოგვწონს, შეგვიძლია სხვაგან გადავრთოთ –თუმცა ბილწსიტყვაობა ადამიანურად მიუღებელია.

**ნინო ლომჯარია:** –ქსენოფობიური და ჰომოფობიური გამონათქვამები მიუღებელია, მაგრამ ესეც გამოხატვის თავისუფლებაა, ვიდრე ვინმეს არ დაემუქრება. თუ ეს გამოხატვა არ ცდება მშვიდობიან ფარგლებს, არ გადადის ძალადობაში, მათ უფლება აქვთ სწამდეს სტალინის ან თუნდაც ჰიტლერის.

სახალხო დამცველი სოფელ ლიხაურში ადგილობრივებს შეხვდა. აქ ძირითადად გურიის მდინარეების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ისაუბრეს.

# რა საკითხებს განიხილავენ საკრებულოს ზეგინდელ სხდომაზე



**ალიონი.** რა საკითხებს განიხილავენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, რომელიც ზეგ, 5 ივნისს გაიმართება?

ამ მიზნით, საკრებულოს ბიუროს 31 მაისის სხდომის დღის წესრიგში 14 საკითხი იყო შეტანილი, მათ შორის ერთი – ფრაქცია „ოზურგ-ეთის მომავლისათვის“ მოთხოვნით, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ქვიშახრეშის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ – იმდენად ხმაურიანი და დებატური გამოდგა, სხდომის საერთო ქრონომეტრაჟის ნახევარზე მეტი წაიღო.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძე** საკრებულოს სხდომაზე საკითხის ამ სახით გატანას არ დაეთანხმა, რადგან, მისი თქმით, ირღვევა საკრებულოს ძირითადი კანონი – რეგლამენტი. ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ ხელმძღვანელის **ლევან მგელაძის აზრით**, რეგლამენტის და-რღვევა ის უფროა, რომ უგულვებელყონ დაზარალებული მოსახლეობის მოთხოვნა. ხანგრძლივ კამათს, რომე-ლშიც ბიუროს სხვა წევრებიც ჩაერთნენ წაძახილ-წამოძახილიც მოჰყვა. საბოლოოდ -შეჯერდნენ იმაზე, რომ ამ საკითხზე იმუშავებდნენ საკრებულოს კომისიები, რომლებიც მათი მუშაობის შედეგს გააცნობდნენ მოსახლეობას და გადაუგზავნიდნენ შესაბამის ინსტან-ციას, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე კი ეს საკითხი ზეპირი განცხადების სახით შევა.

მოკლედ, სხვა საკითხების შესახებაც:

– ზეგინდელ საკრებულოს სხდომაზე, პირველ რიგში, მიიღებენ განკარგულებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით მდინარაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

– ცნობად მიიღებენ მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის I კვარტლის ანგარიშის მიმოხილვას;

– დიდი ალბათობით მიიღებენ განკარგულებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 26.26.46.142) ქალაქ ოზურგეთში, ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე მდებარე 380 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

– იმსჯელებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცებაზე;

– მიიღებენ განკარგულებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;

– განიხილავენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ და შემდგომი პროცედურების თაობაზე;

– ასევე განიხილავენ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის №54 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს; მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის შესაბამის დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

– მიიღებენ განკარგულებებებს დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „განთიადის“ სახელისა და ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „მიხეილ ჭანუყვაძის“ სახელის მინიჭების შესახებ;

– იმსჯელებენ „ოზურგეთის მუნიციპალტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ;

– იქნება საუბარი მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ-აპრილის თვეების მიხედვით ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ნაზარდი ჯამით განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის ტაობაზე.

ასე რომ, ზეგ საკრებულოს მეტად საინტერესო სხდომა გველოდება.

# რამ მოხიბლა მაკა ჭყონია პოლონეთში?



პროექტის ფარგლებში „სკოლამდელი განათლების სისტემური ცვლილებების მხარდაჭერა საქართველოში“ ჩვენი ქვეყნის 8 მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებების ხელმძღვანელები პოლონეთში სასწავლო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ. მათ შორის იყო ააიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი, **მაკა ჭყონიაც.**

როგორც მაკა ჭყონია გვიყვება პოლონეთში გაეცნენ ადგილობრივი საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურას, სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების და ბავშვებთან მუშაობის პრინციპებს, მეთოდოლოგიებს, ასევე სკოლამდელი განათლების კუთხით ბიუჯეტის დაგეგმვას და ბაღების დაფინანსების საკითხს. დაათვალიერეს პოლონეთის სკოლები და ბაღებში.

ვიზიტის ფარგლებში ჯგუფი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც ეწვია, სადაც პოლონეთის თანამშრომლობის განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა დაეთმო პოლოეთის დახმარების ძირითადი მიმართულებებისა და საქართველოში პოლონეთის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი პროექტებზე და მათ შედეგებზე საუბარს. ქართველმა მონაწილეებმა საბავშვო ბაღებში ამ პროექტების ფარგლებში მიღწეულ შე-დეგებზე პოლონელ პარტნიორებს გამოცდილება გაუზიარეს.

**მაკა ჭყონია:** *ერთი კვირით ვიყავით მიწვეულები პოლონეთში. ძალიან საინტერესო პროგრამა იყო. გავეცანით როგორ უნდა განვითარდეს სკოლამდელი განათლება. პოლონეთში ძალიან მაღალ დონეზეა ეს საკითხი. ჩვენ ვნახეთ როგორც კერძო, ასევე მუნიციპალური საბავშვო ბაღები. იქაც დიდი კანსხვავებაა კერძო და მუნიციპალურ ბაღებს შორის. თუმცა ინფრასტრუქტურა ყველა ბაღში მაღალ დონეზეა მოწყობილი. აქვთ ალტერნატიული სკოლამდელი განათლება. რა იგულისხმება ალტერნატიულში? რასაც ჩვენ სასკოლო მზაობაც ვეძახით, ანუ 5-6 წლის ბავშვები სკოლაში ღებულობენ სკოლამდელ განათლებას. ალტერნატიული ჯგუფები დატვირთულია აქტივობებით, რომლებიც პირდაპირ ორიენტირებულია ბავშვის განვითარებაზე, უნარების უკეთ განვითარებაზე.*

*ძალიან ბევრ სიახლეს გავეცანით რომელიც ჩვენც შეგვიძლია დავნერგოთ პირველ ეტაპზე. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული, მაგრამ რაღაც-ების გადმოღება ნამდვილად შეიძლება. მაგალითად, სენსორული ბილიკების მოწყობა ბაღის ეზოებში, რომელიც ორიენტირებულია ბავშვების მოტორიკის განვითარებაზე. ასეთი ბილიკების გა-ეთება არ მოგვეჩვენა რთული საქმე. ასევე შეგვიძლია გავაკეთოთ ქვიშის აუზები.*

*ბევრი სიახლის დანერგვა შეიძლება მაგრამ რაც იქ ვნახეთ, მსგავსს, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ვერ შევეჭიდებით. მათ ძალიან მაღალ დონეზე განვითარებული ინფრასტრუქტურა აქვთ. ბაღებს აქვთ ძალიან დიდი ეზოები. ჰყავთ ძალიან კვალიფიციური კადრები. ესეც ერთგვარი პრობლემაა ჩვენთან. თუმცა მალე დავიწყებთ ამ კუთხით მუშაობას. უახლოეს მომავალში დაიწყება აღმზრდელები სერიუზული გადამზადება. ჩატარდება ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული განვითარების ზრდის კუთხით.*

ვიზიტი პოლონური ორგანიზაცია **EDUKATOR-isa da kivitas georgica-**ს ერთობლივი პროექტის ფარგლებში შედგა.

**მარი კოძოევი**

# ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის კვლევების შედეგებზე დაფუძნებული კონფერენცია



**ალიონი.** 29 მაისს ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია „სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროებში არსებული გამოწვევები საქართველოში“. კონფერენცია დაეფუძნა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ 2015-2019 წლებში ჩატარებულ კვლევებს. შეხვედრის 1-ლი ნაწილი დაეთმო საგანმანათლებლო სფეროში ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლენილი გამოწვევებისა და საჭიროებების მიმოხილვას. დისკუსია მიმდინარეობდა რამდენიმე თემაზე:

— უსაფრთხო გარემოს შეფასება გურიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;

— ბულინგი და მისი ფორმები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკო-ლებში;

— საგანმანათლებლო საჭიროებები საჯარო სკოლებში, სადაც ეთნიკურად ქართველი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები სწავლობენ ან ასწავლიან ;

— ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი პროგრამის მიმდინარეობის შეფასება და არსებული გარემოს კვლევა;

პროფესიული განათლების შესახებ არსებული დამოკიდებულებების კვლევა.

კონფერენციის მეორე ნაწილი დაეთმო ორგანიზაციის მიერ მომზადებული ახალი კვლევის პრეზენტაციას. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საკანონმდებლო რევიზიას თემაზე-„სსიპ საჯარო სკოლების ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა“.

კონფერენციის მესამე ნაწილი კი მიეძღვნა ბავშვთა\ხანდაზმულთა კეთილდღეობის გამოწვევების განხილვასა და დისკუსიას. კონფერენციის ამ ნაწილში დისკუსია გაიმართა შემდეგი მიმართულებებით:

—აჭარისა და გურიის რეგიონებიდან თურქეთში არასრულწლოვანთა შრომითი მიგრაციის პრაქტიკის შესწავლა;

— ხანდაზმულთა დაწესებულებებში ბენეფიციართა მოხვედრის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა;

— სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან (მცირე საოჯახო სახლი) გასული ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა;

— მინდობით აღზრდიდან გასული ახალგაზრდების სოციალიზაცია და საჭიროებები;

—რეინტეგრაციაში ჩართული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებები.

კონფერენციას ესწრებოდნენ ორგანიზაციის პარტნიორი და არასამიზნე სკოლების, ასევე სკოლამდელი დაწესებულებების დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები და მშობლები, ასევე ოზურგეთის საკრებულოს წევრები, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, საბავშვო ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, კოლეჯ „ჰორიზონტის“ დირექტორი და სხვა.

# ოზურგეთში „მომავლის ხმები“ გაჟღერდა



**ალიონი.** სალოტბარო სკოლების ფესტივალი „მომავლის ხმები“-ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში 27-28 მაისს გაიმართა.

ღონისძიებაში დასავლეთ საქართველოში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის 11 სალოტბარო სკოლა (ოზურგეთი, წალენჯიხა, ლენტეხი საჩხერე, ონი , მესტია, ფოთი, ბათუმი, ზესტაფონი, ქობულეთი, სამტრედია) სულ 400-მდე ბავშვი მონაწილეობდა. ფესტივალი ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გაიმართა, სადაც, ბავშვებმა ქართული ტრადიციული სიმღე-რა-გალობა წარმოადგინეს. მეორე- არა-ფორმალური ნაწილი კი გიორგი სალ-უქვაძის სახლ-მუზეუმში, სადა, ბავშვებმა ქართულ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა. მოეწყო გამოფენა, დაათვალიერეს მუზეუმის ტერიტორია, გაეცნენ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას, ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა როგორც ბავშვებში ასევე უფროსებში.

ღონისძიების ბოლოს სალოტბარო სკოლებს მადლობის სიგელები გადაეცათ.

როგორც ორგანიზატორები ამბობენ ფესტივალის მიზანი სალოტბარო სკოლების მოსწავლეების დამეგობრება და ერთმანეთის სიმღერა-გალობის მოსმენა იყო.

ცნობისთვის, სალოტბარო სკოლების ფოლკლორული ფესტივალი სექტემბრის თვეში თბილისშიც გაიმართება.

# ანასეულში საერთაშორისო ბრიტანულ-ქართული საზაფხულო სკოლა გაიხსნა



27 მაისს, ანასეულში, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის დასავლეთ საქართველოს ცენტრში, საერთაშორისო ბრიტანულ-ქართული საზაფხულო სკოლა გაიხსნა. საერთაშორისო ორგანიზაცია "მგზავრობა თინეიჯერებისთვის" (თრაველ ფორ თეენაგერ) მრავალ ათას მონაწილეს აერთიანებს. რვა უცხოელი და თხუთმეტი ქართველი მოსწავლე ერთობლივ შემეცნებით-შრომით კვირეულს გაატარებენ ანასეულში. ბავშვები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ანასეულის დენდროპარკის გაახლების სამუშაოებში.

საზაფხულო სკოლა ხორციელდება უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების სპონსორობით და მხარდაჭერით.

5 ივნისი გარემოს დაცვის მსოფლიო დღეა

# სიცოცხლის პლანეტის სასიცოცხლოდ



ადამიანთა ურთიერთობა არსად ისე არ ვლინდება, როგორც ატმოსფეროს რთულ ბალანსში, რომელიც გარს აკრავს დედამიწას.

ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფები, მატერიალურ ზარალთან ერთად, ადამიანთა დიდ მსხვერპლსაც იწვევს.

ჩვენს პლანეტაზე ყოველწუთს დაახლოებით 26 ჰექტარი ტყე იჩეხება. სწორედ ტყეები ასრულებენ ატმოსფეროს მთავარი გამწმენდის ფუნქციას. ისინი შთანთქავენ ატმოსფეროში დაგროვილი ნახში-რორჟანგის უდიდეს ნაწილს და გამოყოფენ ჟანგბადს. მწვანე საფარის კლება საგანგაშოა, რადგან, ადამიანის სამრეწველო საქმიანობით, ატმოსფეროში ყოველ წუთს მატულობს ნახშირორჟანგის კონცენტრატი, რასაც შედეგად მოსდევს დედამიწის კლიმატის გლობალური ცვლილებები, ე. წ. „თბური ეფექტი“, ანუ საერთო დათბობა.

საქმე იქამდეა მისული, რომ ტოკიოს ზოგიერთ უბანში ბავშვები იძულებული არიან, სკოლაში აირწინაღით იარონ. მსოფლიოს მოაზროვნე, შეგნებულმა ნაწილმა უკვე კარგა ხანია გაითვითცნობიერა, რომ დედამიწის ყველა კუთხეში უნდა შევინარჩუნოთ ველური ბუნება, ეკოსისტემები. ეკოლოგია არ მოიცავს ნაციო-ნალურ საზღვრებს. ქარისა და წყლის მეშვეობით გადაადგილებულმა დაბინძურებულმა ატმოსფერომ არ იცის საზღვარი. ასე რომ, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ასეთი საზღვრების გავლება. მსოფლიოს ხალხებს შეუძლიათ მხოლოდ ურთიერთქმედებით გადაარჩინოს პლანეტის სიცოცხლე. ყველა მოქალაქის ვალია ხელი შეუწყოს გარემოს დაცვითი საქმიანობის ინიციატივებს, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას.

ფართო საზოგადოებაში უნდა ავამაღლოთ გარემოს დაცვითი ცნობიერების დონე, კულტურა, რაც სამწუხაროდ ჯერჯერობით დაბალ დონეზეა. ეს იმაშიც ჩანს, რა მდგომარეობაშია ჩვენი პატარა მდინარეები, შენაკადები, მისი სანაპიროები და საერთოდ, ყველა დიდ თუ პატარა მდინარეს უნდა დაუბრუნდეს სიცოცხლე. ოკეანეში არის ე. წ. მოტივტივე კუნძული, რომელიც ფართობით დიდი ბრიტანეთის ტერიტორიის ტოლია. ეს არის პლასტმასების ნარჩენების კუნძული.

საქართველოს ბუნება გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის უმთავრესი ელემენტია, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიოსფეროს რეგულირებაში. ხვალინდელი დღის პროგრესი ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის მიერ სინამდვილის აღქმაზე, ეკოლოგიურ შეგნებასა და ახალი კადრების აღზრდაზე. უნდა ავამაღლოთ ბუნებასთან ახალგაზრდობის ურთიერთობის კულტურა. ეკოლოგიურ აღზრდაში იგულისხმება ნებისმიერი ასაკის ადამიანში ეკოლოგიური აზროვნების განვითარება. აღზრდა იწყება ბაღის ასაკიდან.

ყველა მოქალაქის ვალია ხელი შეუწყოს გარემოს დაცვით საქმიანობებს და ინიციატივებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ კუთხით კარგი შესაძლებლობები გააჩნია სკოლებს. ხშირად უნდა მოეწყოს ბუნებაში ექსკურსია-ლაშქრობები, სკოლებში შეიქმნას ბუნების მოყვარულთა და ეკოტურიზმის შემეცნებითი ჯგუფები, მოეწყოს საგაზაფხულო ბანაკები, ტურისტული ბილიკები. მოზარდ თაობას უნდა გავაცნოთ ჩვენი ფლორისა და ფაუნის ისტორიულ-კულტურული ძეგლები და სხვა ადგილები. ბუნება საუკეთესო თვალსაჩინოებაა.

სასურველია მოხდეს გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ფიზკულტურისა და ისტორიის ახალგაზრდა პედაგოგთა გადამზადება, რაც უფრო გააქტიურებს და გაადვილებს ამ თვალსაზრისით ბავშვებთან ურთიერთობას. უნდა ვიმოქმედოთ დევიზით: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!

არ დავტოვოთ კვალი ბუნებაში. ეკოლოგიური ესთეტიკა და კულტურა ყველგან და ყოველთვის, შინ და გარეთ! — ეს ფორმულა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ფონზე ისე აქტუალურია, როგორც არასდროს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ წარმოვადგენთ ჩვენი ქვეყნის სახესა და კულტურას მსოფლიო არენაზე.

გურიას აქვს შანსი, გახდეს სამაგალითოდ მწვანე რეგიონი, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონის შემდგომ განვითარებაში.

შევინარჩუნოთ ავდეტური ბუნება და დავიცვათ გარემო.

**ჯანვერდი ცეცხლაძე,**
ეკოლოგი, გურიის ტურიზმის ასოციაციის მენეჯერი.

# ცოცხალი ლეგენდა



ანსამბლი „შვიდკაცა“.
მარცხნიდან მესამე ბადრი ინგოროყვა,

„შვიდკაცას“ მეორე თაობის წევრი ბადრი ინგოროყვა უნიჭიერეს მომღერალთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი გამოირჩეოდა შესანიშნავი ტემბრით და ამასთან ერთად იყო დაუზარელი, ხელოვნების მოტრფიალე პიროვნება. ფლობდა ხალხურ ინსტრუმენტებს, შესანიშნავად უკრავდა პანინოზე.

ბადრი ბუნების მოტრფიალეა, იგი ხშირად მონაწილეობდა მთამსვლელთა ექსპედიციები კავკასიონზე, მრავალჯერ აქვს დალაშქრული აჭარა-გურიის მთები და ამ მთების ულამაზესი ადგილები აქვს მოვლილი.

ტურისტულ-ალპინისტური კლუბ „ქორბუდეს“ ხელმძღვანელმა, ცნობილმა ფოტოკორესპონდენტმა რევაზ ცქვიტინიძემ მომიყვა თუ როგორ უშიშრად მიდიოდა ბადრი გერგეტის მყინვარზე, მიუვალ ადგილებში, რამდენჯერმე ხიფათსაც გადაურჩა.

ერთხელ მეც გამოვთქვი სურვილი მთაში წასვლაზე, მაგრამ ბადრის მითხრა: „შენ დაეტიე შენს კანში, დიდი საქმე გაქვს და იმას მიხედეო.“ დავუჯერე და დავანებე თავი მწვერვალების დაპყრობის ფიქრს.

ბადრი ცოტათი ადრე მივიდა „შვიდკაცაში“, ვიდრე მე. ძალიან გაუხარდა ჩემი მისვლა და მეუბნებოდა: —ახლა ჩვენ ორნი ვართ ერთი სოფლიდან „შვიდკაცაშიო.“

შემდეგ მოხდა ისე, რომ მე მუშაობა დავიწყე ანასეულის საცდელ-საწარმოო მეურნეობაში. ბადრი ამ დროს ინსტიტუტის ასპირანტი იყო. ბადრის ინიციატივით და ინსტიტუტის დირექციის მხარდაჭერით შევქმნით ინსტიტუტის სიმღერის გუნდი. მე ამ გუნდს ვხელმძღვანელობდი, ხოლო ბადრი გუნდის ადმინისტრატორი იყო. ბადრი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გუნდი ასპარეზზე გამოსულიყო. კარგად მახსოვს, როგორ ითხოვდა იგი ინსტიტუტის დირექციიდან ანსამბლის წევრების დაფინანსებას და ეროვნული სამოსის შეძენას. ანსამბლმა სასურველ შედეგს მიაღწია:— ხშირად იწვევდნენ რაიონულ და რესპუბლიკურ დათვალიერებებზე. ამის გამო დირექციამ ანსამბლი დააფინანსა და ეროვნული სამოსიც შეგვიკერეს. წარმატებებში ანსამბლის ყველა წევრის წვლილი იყო, მაგრამ ბადრის ძალისხმევა —განსაკუთრებული.

ბადრიმ ანსამბლ „შიდკაცასთან“ ერთად მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში იყო. მან თავისი სიტყვა თქვა ქლოვნებაში, შეეძლი კიდევ დიდხანს გაეწია ხალხისთვის სამსახური ხელოვნების დარგში, მაგრამ ავადმყოფობის გამო დათმო ეს პოზიცია.

ვუსურვებთ გამოჯანმთელობას ჩვენს ბადრის.

**ტრისტან სიხარულიძე,**

ანსაბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელი, ღირსების ორდენოსანი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, ხელოვნების ქურუმი.

---

*მივიწყებული სახელები*

# გრაფიკოსი მხატვარი შოთა ლომაძე



„ავტოპორტრეტი“ (ფანქარი, ქაღალდი);

**შოთა ლომაძე** დაიბადა 1921 წელს სოფელ მამათში. მამამისი დანიელ ლომაძე იყო ფოტოგრაფი. მოგვიანებით ოჯახით საცხოვრებლად გადმოდის ქალაქ მახარაძეში, ფოტოლაბორატორია ჰქონდა გურიის გამზირზე ბაზრის შესასვლელთან. 1937 წელს დაამთავრა ფოთის საშუალო სკოლა(იმ დროს ოჯახი ცხოვრობდა ფოთში). იგი ბავშვობიდან გატაცებული ყოფილა მხატვრობით. იმავე წელს ჩააბარა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე, ნიჭიერ და წარმატებულ სტუდენტს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.. როგორც მისი ბიოგრაფები წერდნენ, ის აკადემიაში პირველი კურსიდან მეხუთე კურსამდე ფრიადოსანი სტუდენტი ყოფილა.

აკადემიაში გაეცნო მსოფლიო მხატვრების შემოქმედებას: ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელს, რემბრანტს, რომელთა მიმდევარი და თაყვანისმცემელი ყოფილა.. ნიჭიერმა მხატვარმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე შინაარსიანად დაუთმო მხატვრობის დაუფლებას, მის ტექნიკას და მანერის გამომუშავებას. ხანმოკლე დროის მანძილზე შესანიშნავი სურათები და მრავალი დაუმთავრებელი ესკიზი დატოვა.

განსაკუთრებით აღნიშნავენ სტუდენტობის წლებში მისი ნიჭის გაფურჩქნას. გრავიურასა და ოფორტში მიაღწია ისეთ დონეს, რომ მას გრავიურის უდიდეს მცოდნედ მიიჩნევდნენ. ოფორტებიდან (ლითონზე შესრულებული გრავიურა), აღსანიშნავია: პეიზაჟების სერიები, მამის პორტრეტი.მას განსაკთრებით უყვარდა აკვარელით მუშაობა, აკვარელით შესრულებული მრავალი ეტიუდი და პორტრეტი დაგვიტოვა. აღსაღნიშნავია ნატურმორტი-დან: „ხილი“,ეტიუდი:„თბილისის გარეუბანი“, „მცხეთის ჯვარი“, „გურიის მიდამოები“, ის თურმე შესანიშნავად არჩევდა და უხამებდა ფერებს , მას ფერების მესაიდუმლესაც ეძახდნენ.

სტუდენტობის დროს შეთავსებით მუშაობდა რედაქციაში „საბლიტგამში“ მხატვრად, გააფორმა მრავალი წიგნი: „ კაკო ყაჩაღი“, „საიდუმლო ჭა „ , „სახრჩობელაზე“ , „კატა“ და მრავალი სხვა.

მისი სტუდენტობის ოცნება დიპლომის ფრიადზე დაცვა ყოფილა, თემაც არჩეული ჰქონია: ილუსტრაციები კაკო ყაჩაღის ცხოვრებიდან და გრავიურიდან - მესაზღვრის პორტრეტი, რომლის დაცვა ვერ მოასწრო .1942 წლის 9 მარტს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა,. უკვე შემდგარი ნიჭიერი, ახალგაზრდა გრაფიკოსი- მხატვარი. მას ბევრი განუხორციელებელი ოცნება დარჩა, იგი ძლიერ უყვარდათ და პატივს სცემდნენ.. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, მეგობრებმა თავთან პატარა ქვა დაუდეს, ფიციც წარმოთქვეს, რომ ძეგლს დაუდგამდნენ.

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში (საქმე 173) დაცულია მისი ნამუშევრების ორი მოზრდილი საქაღალდე ესაა: ნახატები და ესკიზები : ფერწერა, გრავიურა, გრაფიკა, პორტრეტები, ესკიზები, ნატუმორტები, ოფორტები, დღიურები, ჩათვლის წიგნაკი, სამგლოვიარო დეპეშები, პირადი წერილები. მის ბიოგრაფიულ ცნობებს ავსებს მისივე პირადი წერილები:

**წერილი პირველი,** დათარიღებულია 1937 წლის სექტემბრით. თვით .წერილებში საერთოდ გადმოცემულია მისი სულიერი განწყობილება სითბო, სიყვარული, მიზნები მისწრაფებები. მოკითვის შემდეგ სწერს: *„მივიღე თქვენი გამოგზავნილი ფული და მაშინვე ჩემი ხელსაწყო ვიყიდე, რომელიც ღირს 53 მანეთი და 10 კაპ. დანარჩენი ფულით მინდოდა ფოტოს გამოგზავნა, მოვნახე ფოტოგრაფი, ძალიან გამიჭირდა კითხვა-კითხვით მივაგენი. მივეცი ზაკაზი ორი ცალი, რომელიც მზად იქნება 25 სექტემბერს და ამ თვის ბოლომდე მაინც ელოდეთ, რადგან გზაში ალბათ დააგვიანდება.. წიგნები მაინცა და მაინც არ მჭირდება.და, რაც დავხარჯე მხოლოდ ხელსაწყოებისათვის. სხვა ჩვენი სწავლა ასეა: დილით 9 – 12 სულ ფერებით ხატვა გვაქვს, 2 საათამდე ლექცია, შემდეგ საღამოს კიდევ უნდა მივიდეთ 5 საათზე და 7 საათამდე ფანქრით ხატვა. 7 საათიდან 9 საათამდე ისევ ლექციები და ასე შეზღუდული დღეში 9 საათს ვსწავლობთ, ამიტომ სხვა საქმე, რომ გავაკეთო ამის დრო არ მრჩება მხოლოდ დასვენების დღეს ვარ თავისუფალი. ჯერჯერობით ჩემს ფაკულტეტზე უპირატესობა მე მეკუთვნის, ახლა მუშაობას ვიწყებ შოთა რუსთაველის პორტრეტზე, რომელიც მართალია, კარ-გი უნდა იქნეს,მ აგრამ ეს ტილოს შოვნა მიჭირვებს საქმეს.. ერთი, რომ არ იშოვება,მ ეორეც ისე ძვირი ღირს, რომ ვერც კი მიეკარები, მეტრო 20 მანეთია. სხვა დედა, რომ აკეთებდი საბანს „დაამთავრე და გამომიგზავნე, ორემ აწი აქ სიცივეები დაიწყება და მე კი არ მაქვს,კ იდევ პალტოზე რომ გეუბნებოდი, ისიც გააკეთე. ჯერ ესენი საჭირო არ არის, მაგრამ მომზადება მაინც საჭიროა.. დეიდები სულ მეჩხუბებიან, ასე ჩაჩანივით ნუ დადიხარო, მათ ვეუბნები ასე უნდა იაროს ზოგჯერ- ეთქი. დახმარება კარგი იქნება, თვარა სულ დეიდების ხარჯზე სირცხვილია იმიტომ, რომ ჯერ მათ იმდენი არ ეძლევა , რომ ყველას ეყოს“.*

**წერილი მეორე :** *„სალამი, ძვირფასო მშობლებო და ოჯახის წევრებო, მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილი და ფულიც 50 მანეთი ... დავიწერეს ნიშნები სპეციალურ საგნებში : ხატვაში, ფერწერაში, და გრა-ფიკაში, ნამუშევრები ფრიადზე შემიფასეს და ყველა საგნის მასწავლებელმა ძალიან შემაქო, გადამწყვეტი საგნები მოვიშორე, ახლა დამრჩა დანარჩენი, ყველა საგანს რომ ჩავაბარებ, შემდეგ სტიპენდიაც მექნება და დაფასებაც, თუმცა დაფასება ახლაც მაქვს., მთელს ჯგუფში მე მაქებს მასწავლებელი და ერთი ამხანაგიც გვყავს კიდევ. ასე რომ, იმუშაოთ, ესენი რომ მუშაობენ, მაშინ მიაღწევთ მიზანსო ამბობს მასწავლებელი. გავიგე თქვენი ამბავი ბინის შეძენის შესახებ, რადგან ოზურგეთში ვერ მოახერეთ, კარგი იქნება თბილისში იშოვიდეთ ოთახს, ასე ორი ოთახი, ოთახის შეძენაში დეიდა ნუცა დაგვეხმარება ,რადგან ძალიან მოწადინებულია ამ საქმის გ აკეთებაზე.. ძალიან მოხარული ვიქნები თუ თბილისში შეიძენთ ბინას, ყველა ერთად ვიქნებით.“ (ადრე დანიელ ლომაძე ფოთში ცხოვრობდა, შემდეგ ,როგორც ეტყობა დასახლდნენ ოზურგეთში მოიდანახის უბანში).*

**წერილი მესამე:** *„ იანვარში გამოაცხადენ ფრიადოსნად და სტიპენდიაც დამინიშნეს. ერთერთმა პედაგოგმა, რომელიც ჩვენ გვასწავლის, გვარად გრიგოლიამ მითხრა, რომ შენ უკვე თამამად შეგიძლია რედაქციაში იმუშაო და დამპირდა თუ გამოჩნდება შენ გაგაგზავნიო. და მართლაც ერთი პედაგოგი, რომელიც მწერლობას ეწევა, დაწერა საბავშვო წიგნი, ზოგიც შეკრიბა და დაარქვა სახელად „კატა“,ეს მწერალი ჭანიშვილია, რომელმაც ჩვენს პედაგოგს ,მხატვარ*



ხე (ტუში, ქაღალდი).

*გრიგოლიას სთხოვა ამ წიგნის მხატვრული გაფორმება, მან უთხრა :– მე არ მცალია, მაგრამ მე მოგცემ ისეთ კაცს, რომელიც ამ წიგნს კარგად გააფ-ორმებსო .მეორე დღეს წაველი რედაქციაში, სადაც საბავშვო წიგნებს ბეჭდავენ. „საბლიტგამში“,დავიწყე ამ წიგნის დასურათება ეს იყო,24 მარტი. ამ დღიდან მე ვიყავი მხატვრების რიგში, ჯერ კიდევ სტუდენტი, რომლ-ებთაგანაც ერთად მე ვმუშაობდი წიგნების გარეკანის გაფორმებაზე.მათან შედარებით ბავშვი ვარ წლო-ვანებით, აკადემიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ*



ნალია (გოაში, ქაღალდი);

*სტუდენტს გაეფორმებინა წიგნი, ეს ბედნიერება მე მხვდა, ეს ისეთი რამ იყო, ვერ ეღირსებიან ზოგიერთები. ჩემი ნამუშევრებიდან არ მახსოვს, რომ რამე მომეტანოს და დაეწუნებიათ, პირიქით, დიდი მოწონებით ლებუ-ლობენ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შემთხვევით წიგნების ვიტრინაში მოულოდნელად მოვკარი თვალი ჩემს გაფორმებულებს, თვალს არ ვუჯერებდი, მაგრამ ეს ფაქტი იყო, რამაც ძალიან გამახარა. ეს წიგნია აპოლონ მახარაძის „ალექსანდრე ყაზბეგი“, ხოლო დანარჩენი წიგნები, რომლებსაც ახლა ჩამოვთვლი გამოვა ამ დღეებში, ზოგი შემდეგ ესენია : ევგენი ონეგინი, ანდაზები, დიდი რუსი მოგზაური სედოვი ,ორჯონიკიძე „ახალგაზრდობის შესახებ“ , „საიდუმლო ჭა“, „საბავშვო წიგნი „„კატა“.*

საინტერესოა შოთა ლომაძის განცხადება საქართველოს „საბლიტგამის“ დირექტორის სახელზე, ითხოვს მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის დავალიანების ანაზღაურებას. ჩამონათვალალს შემდეგ ჯამი 550 მანეთია იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა. განცხადება დაწერილია 1941 წლის 17 ოქტომბერს სიკვდილამდე 5 თვით ადრე.,იმედია აიღებდა თავის კუთვნილლ თანხას.

მუზეუმის ფონდებში დაცული შოთა ლომაძის ნამუშევრებს გაეცნო ბატონი თამაზ დარჩია, გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედების კავშირის თავმჯდომარე . მისი აზრით,ნამუშევრები არის მაღალი პროფესიული დონის და საჭიროებს რესტავრაციას.

რესტავრაციისათვის საჭიროა გამოიყოს საჭირო მასალა და მუზეუმის დირექციამ შეადგინოს საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

სამომავლოდ მუზეუმის საგამოფენო სივრცეში თავის ადგილს დაიჭერს ერთი ნიჭიერი გურული კაცის მხატვრული შემოქმედება.

**მანანა ლომაძე,**

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

# საქართველოს საკლუბო ჩემპიონატზე

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატზე მორიგი მე-5 და მე-6 ტური გაიმართა. ოზურგეთის საჭადრაკო კლუბი ,, გურია“ ქ. ხონში ადგილობრივ ,,ხონს“ სტუმრობდა. ხონელებს წინა ტურში ,,ქუთაისთან“ წაგებული მატჩების შემდეგ სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებისათვის მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, თუმცა ორი მატჩის შედეგებით მხოლოდ ორი ქულის აღება შეძლეს. მე-5 ტური ოზურგეთელმა კარგად დაიწყეს. თამარ ასათიანმა და თენგიზ თოიძემ დროის მოკლე პერიოდში შეძლეს მეტოქის დამარცხება. კარგად ითამაშა ოზურგეთელთა გუნდის კაპიტანმა დავით ცეცხლაძემ, რომელმაც რთულ პარტიაში ზუსტი სვლებით ხონელთა პირველი ნომერი დაამარცხა, თუმცა გუნდური მოგებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. დარჩენილ 3 დაფაზე ,,გურიამ“ მხოლოდ ნახევარი ქულა აიღო და საბოლაოდ 3,5-4,5 დათმო ტური. ზ.ანდღულაძის თქმით ეს იმით უნდა აიხსნას, რომ გზაში ბავშვებს გაუჭირდა მგზავრობა და რამდენჯერმე მოგვიხდა მომსახურე მიკრო ავტობუსის იძულებითი გაჩერება და ნამგზავრ გუნდს თამაშის წინ ხუთწუთიანი დასვენებაც არ მოწევია.

ოზურგეთელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს მე-6 ტურში. ისევ გაიმარჯვა დავით ცეცხლაძემ და თენგიზ თოიძემ. ასევე მოიგო მეორე დაფაზე მოასპარეზე გიორგი გოგოლაურმაც. გუნდური გამარჯვების მომტანი ყაიმები ითამაშეს ანა მეგრელაძემ, თაკო ასათიანმა და ნიკოლოზ ბარამიძემ, რითაც ,,გურიამ“ ანგარიშით 4,5-3,5 საბოლაო მოგება შეძლო.

მე-5 და მე-6 ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა:

### დასავლეთის ლიგა

**ბათუმის ,,ნონა” ბაღდათის “ბაღდათი“ 2-6 და 2-6**

**ფოთის ,,ნანა“-ქუთაისის “ქუთაისი“ 3-5 და 1,5 -6,5**

**ხონის ,,ხონი“-ოზურგეთის ,,გურია“ 4,5 -3,5 და 3,5 -4,5**

**ლანჩხუთის ,,ლანჩხუთი“- ზუგდიდის ,,დადიანი” 1,5 -6,5 და 2,5 -5,5**

**ამბროლაურის,,ამბროლაური“- სამტრედიის ,,სამტრედია 3,5 -4,5 და 3,5 4,5**

### აღმოსავლეთის ლიგა

**გორის გორი - თბილისის ამომავალი ვარსკვლავი 1-7 და 4-4**

**გურჯაანის ნანა & გია - თბილისის ნტნ 1,5:6,5 და 0.5-7.,5**

**თბილისის ოლიმპიური ჩემპიონი - მცხეთის მცხეთა 7- 1 და 8-0 რუსთავის რუსთავი - თბილისის აზმა 2,5 -5,5 და 2 : 6 ახალციხის ,,ახალციხე“- საგარეჯოს ,,გარეჯი“ 3,5-4,5 და 2,5-5,5**




## განცხადება

იყიდება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე! თავისი ავტოფარეხით, ავეჯით, ტექნიკით! მსურველებმა დამიკავშირდით 591155757


# სკანვორდი




## № 20-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – თათული ედიშერაშვილი; შ. დედაბრიშვილის ფსევდონიმი – არაგვისპირელი; სხვის ბუდეში კვერცხისმდებელი – გუგული; ყოფილი უნგრელი ფეხბურთელი – ბენე; თვალის ფერადი გარსის ანთება – ირიტი; სიჩუმე (მიმართვა) – ჩუ; საპორტო ქალაქი ბულგარეთში – ვარნა; ლიტერატურული გმირი – პერსონაჟი; დიდი მდინარე ციმბირში – ლენა; სუბტროპიკული მცენარე – ჩაი; ქალაქი ესპანეთში – სარაგოსა; ცეცხლის ენა – ალი; მზის ქალღმერთი იაპონური მით. – ამატერასუ; არაპირდაპირი – ირიბი; ევკალიპტის სახეობა – მანანა; მოძველებული კანონის გაუქმება – აბროგაცია; ვიეტნამის დედაქალაქი – ჰანოი; ისტორიული მონაკვეთი – ერა; არაოფიციალური მაკლერი ბირჟაზე – კულისიე; ჭადრაკის ფიგურა – ეტლი; თოჯინა – ბარბი; კავშირი – და; გასინჯვა – აპრობაცია; ძველი ინდური ფილმი – ავარა; მარგალიტის თვალი – ჯავარი; ცაცია – ჩალიკვა; მეტყველების ორგანო – ენა; უძველესი მცენარე – მოცვი; ქართული გვარი ფაცაცია; კავშირგაბმულობის საშუალება – რაცია; მატყლის ქსოვილი – შალი; შემახილი – ვაი; ზოოპარკის ატრიბუტი – გალია; ავსტრიული ფული – შილინგი; წამლის ფორმა – აბი.

# 1841 წლის აჯანყება გურიაში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით




თბილისიდან საყვედურის მიღების შიშითა თუ ოზურგეთის გარნიზონის გამხნევების მიზნით 1841 წლის 29 აგვისტოს არღუთინსკი **ცხენისწყლის** საგუშაგოდან მილიციის რაზმით **ჩოხატაურისაკენ** მიმავალი გზის დაზვერვას შეუდგა. აჯანყებულებმა არღუთინსკის წინააღმდეგობა არ გაუწიეს, თუმცა გზისორივე მხრიდან თვალყურს ადევნებდნენ მილიციის რაზმის გადაადგილებას. იმავე დღეს არღუთინსკი საგუშაგოსთან დაბრუნდა. 30 აგვისტოს იგი ქართველ გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონითა და 2 ქვემეხით 1.500 მილიციელის თანხლებით ცხენისწყლის საგუშაგოდან საჯავახოს გავლით კვლავ დაიძრა ჩოხატაურისაკენ. არღუთინსკი ვარაუდობდა, რომ ოზურგეთის ალყაზე მდგარი აჯანყებულთა ნაწილი მის შესახვედრად გამოემართებოდა, რითაც პოლკოვნიკ ბრუსილოვს ოზურგეთის სიმაგრის დაცვა გაუადვილდებოდა. ცხენისწყლის საგუშაგოდან ჩოხატაურისაკენ მიმავალი გზის დაცვის მიზნით პრაპორშჩიკ თავად **პაატა წულუკიძის** მეთაურობით არღუთინსკიმ იმერეთის მილიციის ერთი რაზმი (500 მილიციელი) დატოვა. 31 აგვისტოს არღუთინსკიმ ჯარი ჩოხატაურიდან 5 ვერსის მოშორებით სოფელ **ეწერთან** შეაჩერა, სადაც მას ჩოხატაურიდან პოლკოვნიკ წერეთლის უკან- დახეული იმერეთის მილიციის რაზმი შეუერთდა. არღუთინსკის გადაწყვეტილი ჰქონდა, ეწერთან დალოდებოდა ერევნის კარაბინერთა და სამეგრელოს ეგერთა პოლკებიდან გაგზავნილ ასეულებს. არღუთინსკის გეგმა ორი გარემოების გამო შეიცვალა: ჯერ ერთი, 1 სექტემბერს პოლკოვნიკმა ალექსეი ბრუსილოვმა არღუთინსკის აცნობა, რომ აჯანყებულებმა ოზურგეთს შეუტიეს; და მეორეც, არღუთინსკის ასევე შეატყობინეს, რომ გურიის მოსაზღვრე სამეგრელოს სოფლებში მოსახლეობა იკრიბებოდა და აჯანყებული გურულების დასახმარებლად წასვლას აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ ზურგი დაუცველი ჰქონდა (ცხენისწყლის საგუშაგოდან საჯავახოს გავლით ჩოხატაურისაკენ მიმავალ გზას რუსეთის ჯარი ვერ აკონტროლებდა), არღუთინსკიმ შეტევის დაწყება გადაწყვიტა

2 სექტემბერს რუსეთის ჯარმა და იმერეთის მილიციამ ჩოხატაურის საგუშაგო დაიკავა. იმავე დღეს საღამოს ჩოხატაურის საგუშაგოს მიაღწია ერევნის კარაბინერთა და სამეგრელოს ეგერთა პოლკების სამმა ასეულმა, ასევე გურიის მილიციის რაზმმა, 250 მებრძოლმა. ერევნის კარაბინერთა პოლკის ორივე ასეულმა ქუთაისიდან ჩოხატაურში ჩაიტანა 50.000 ტყვია, ზარბაზნის 332 ჩვეულებრივი ყუმბარა, ზარბაზნის 67 საფანტიანი ყუმბარა (44 შორ მანძილზე სროლისათვის, 23–ახლო მანძილზე სროლისათვის), 62 ფუთი ტყვია, 50 ფუთი წამალი თოფისა და ზარბაზნისათვის.

1841 წლის 2 სექტემბერს არღუთინსკი სოფელ **ნაგომრის** საგუშაგოსაკენ დაიძრა. ჯარის მიახლოებისთანავე აჯანყებულებმა საგუშაგო გადაწვეს და ნაგომრიდან 3 ვერსის მოშორებით წინასწარ მომზადებულ და საგანგებოდ გამაგრებულ პოზიციაზე დაიხიეს. აჯანყებულთა მეთაურებმა შეცდომა დაუშვეს: ოზურგეთის გარშემო დაჯგუფებული მებრძოლების ნაწილი ნაგომრის მიმართულებით გადაისროლეს, რითაც შვება იგრძნო პოლკოვნიკმა ბრუსილოვმა. არღუთინსკი ფიქრობდა, რომ დაუყონებლივ შეეტია აჯანყებულთათვის, მაგრამ თავსხმა წვიმამ ამის საშუალება არ მისცა. ხერგილებით დაფარულ ტყეში გამავალ გზაზე ძლიერ წვიმაში გადაადგილება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მითუმეტეს ძნელი იქნებოდა აჯანყებულთა სიმაგრეზე შეტევის დაწყება. არღუთინსკიმ იმერეთის მილიციის მეთაურ პოლკოვნიკ წერეთელს უბრძანა ერევნის კარაბინერთა პოლკის 2 ასეულით, 300 მილიციელითა და 2 ზარბაზნით მიახლოებოდა აჯანყებულთა სიმაგრეს და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს შეტევაზე გადასვლას აპირებდა. თავად არღუთინსკიმ დანარჩენი ძალებით საღამოს 9 საათზე უკან დახევა დაიწყო, 7 ვერსი გაიარა და აჯანყებულთა სიმაგრის მარცხენა ფლანგიდან შემოვლას შეუდგა. არღუთინსკიმ ჯარი ასე განალაგა: წინ პორუჩიკ თავად **ერისთავის** მეთაურობით გურიის მილიცია მიდიოდა, რომელსაც მიჰყვებოდა: სამეგრელოს ეგერთა პოლკის 1 ასეული 1 ზარბაზნით, ქართველ გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი 1 ზარბაზნით, ახალციხის მილიცია და სულ ბოლოს – პოლკოვნიკ წულუკიძის მეთაურობით იმერეთის მილიციის მეორე ნაწილი. არღუთინსკის მიერ ჩაფიქრებული შემოვლითი მანევრის განხორციელება ადვილი არ იყო, რადგან ჯარს ძლიერი წვიმის პირობებში უნდა ემოძრავა ტყით დაფარულ მთებში მიმავალ გზაზე. 3 სექტემბერს დილის 5 საათზე რუსეთის ჯარი და ქართული მილიცია მოულოდნელად გამოჩნდა **ოზურგეთთან,** რითაც აჯანყებულებში დაბნეულობა შეიტანა. მოულოდნელ თავდასხმას, ზარბაზნებიდან საფანტიანი ყუმბარებით გახსნილ ცეცხლს, ქვეითთა და ცხენოსანთა ერთობლივ შეტევას აჯანყებულებმა ვერ გაუძ-ლეს და უკან დაიხიეს. ბრძოლაში დაახლოებით 60 აჯანყებული დაიღუპა, კიდევ უფრო მეტი დაიჭრა. დამსჯელმა ექსპედიციამ მოკლულთა სახით 3 ჯარისკაცი დაკარგა, დაიჭრა 12 ჯარისკაცი და მილიციელი. ოზურგეთი ალყისაგან განთავისუფლდა, აჯანყებულებმა მალე შემოგარენიც დატოვეს. ოზურგეთთან აჯანყებულების დამარცხების შემდეგ პოლკოვნიკმა არღუთინსკიმ **ნაგომართან** მოწყობილ სიმაგრეზე დაუყონებლივ შეტევა გადაწყვიტა, მაგრამ ჯარისა და მილიციის დაღლილობის გამო რამდენიმე დღით შესვენება გახდა აუცილებელი. 1841 წლის 6 სექტემბერს განთიადისას არღუთინსკიმ ნაგომრის სიმაგრის დასაკავებლად შემოვლითი მანევრის განხორციელება დაიწყო. ამ დროისათვის პოლკოვნიკი წერეთელი იმერეთის მილიციით უშუალოდ სიმაგრის მისადგომებთან იდგა. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებს ნაგომართან ხელსაყრელი პოზიცია ეკავათ, ოზურგეთთან განცდილი მარცხის შემდეგმათ სიმაგრე დატოვეს და მახლობელ სოფლებში გაიფანტნენ. ნაგომარის სიმაღლის დანგრევის შემდეგ არღუთინსკი და წერეთელი ოზურგეთში დაბრუნდნენ. ჩოხატაურის საგუშაგო არღუთინსკიმ პირველი სახაზო ბატალიონის 100 ჯარისკაცით გააძლიერა, ხოლო ოზურ-გეთიდან ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე რამდენიმე საგუშაგო მოაწყო. დაიწყო ოზურგეთის სიმაგრის აღდგენა და გარნიზონისათვის პროვიანტის მარაგის შექმნა. ოზურგეთში დიდი რაოდენობით რეგულარულმა ჯარმა და მილიციამ მოიყარა თავი. იყო იმის საშიშროება, რომ ოსმალეთიდან შემოტანილ შავ ჭირს აქამდეც მოეღწია. არღუთინსკიმ სასწრაფოდ მიიღო ზომები გურიასა და აჭარას შორის არსებული საზღვრის ჩასაკეტად. გააძლიერა საზღვრის დაცვა, დამატებით შექმნა რამდენიმე საგუშაგო.

პოლკოვნიკ არღუთინსკის მიერ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, პოლკოვნიკმა ბუიუროვმა წმ. ნიკოლოზის სიმაგრის დაკავება გადაწყვიტა. იგი არ დაელოდა არღუთინსკის მიერ დაპირებული 150 ოფიცრისა და ჯარისკაცის მისვლას და 12 სექტემბერს სიმაგრის დასაკავებლად დაიძრა. 13 სექტემბერს რუსებმა სიმაგრეს სამხედრო გემიდან ზარბაზნებით ცეცხლი გაუხსნეს და იმავდროულად, ზღვიდან დესანტიც გადასხეს. აჯანყებულებმა სიმაგრე დატოვეს. 14 სექტემბერს ფოთიდან მოსულმა სამეგრელოს მილიციამ (350 მებრძოლი) რეგულარული ჯარის ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან ერთად წმ. ნიკოლოზის სიმაგრე დაიკავეს და თავდაცვისათვის მოემზადნენ. სიმაგრის დაკავების შემდეგ ოზურგეთში სურსათისა და პროვიანტის შეტანა დაიწყო. ოზურგეთთან, ნაგომართან და წმ. ნიკოლოზის (შეკვეთილის) სიმაგრესთან განცდილი მარცხის შემდეგ აჯანყება დაღმავლობის გზით წავიდა. აჯანყებულები ოჯახებს დაუბრუნდნენ, ორგანიზებული სამხედრო ძალა აღარ არსებობდა. პოლკოვნიკმა არღუთინსკიმ აჯანყების მონაწილეთა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. 1841 წლის 17 სექტემბრისათვის გურიანთიდან, ლიხაურიდან, ჩიბათიდან, ჩოჩხათიდან და სხვა სოფლებიდან 1.654 აჯანყებულმა დაიფიცა. ამ სოფლებიდან დაფიცებაზე უარი თქვა რამდენიმე ათეულმა კაცმა. დიდი ნაწილი, ვინც დაფიცებაზე უარი თქვა, გურიანთიდან იყო, ისინი ოსმალეთში აპირებდნენ გაქცევას. პოლკოვნიკმა არღუთინსკიმ გადაწყვიტა გურია მანამ არ დაეტოვებინა, სანამ ტყეში გასულ აჯანყებულებს არ შეიპყრობდა, ვიდრე არ დასრულდებოდა ოზურგეთისა და წმ. ნიკოლოზის სიმაგრეების აღდგენა, ამ სიმაგრეებში საბრძოლო მასალისა და სურსათის სერიოზული მარაგის შექმნა, სანამ უსაფრთხო არ გახდებოდა ოზურგეთიდან ფოთისა და ქუთაისისაკენ მიმავალი გზა. მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, არღუთინსკი იძულებული გახდა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. 1841 წლის 14 სექტემბერს ჩრდილო კავკასიაში უბიხების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალი გენერალ-მაიორ ოსიპ ანრეპის დაქვემდებარებაში არღუთინსკიმ პოლკოვნიკ წერეთლის მეთაურობით იმერეთის მილიციის ნაწილი (450 მილიციელი) გაგზავნა. სამაგიეროდ, ცხენისწყლის საგუშაგოდან ოზურგეთში 50 მილიციელი გადაიყვანეს. არღუთინსკიმ ბუიუროვს უბრძანა წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში რეგულარული ჯარის ოფიცრებისა და ჯარისკაცების გარდა, 150 მილიციელი დაეტოვებინა, ხოლო 200 მილიციელი ფოთში ლევან დადიანის განკარგულებაში გაეგზავნა. ეს 200 მილიციელი, თუ საჭირო გახდებოდა, გენერალ ანრეპს უნდა მიშველებოდა. იმავდროულად არღუთინსკი ცდილობდა სასწრაფოდ დაესრულებინა გურიის მილიციის ხელახლა ფორმირება. 19 სექტემბერს გურიის მილიცია, 200 ქვეითი და 50 ცხენოსანი პოდპოლკოვნიკ მაჭუტაძის მეთაურობით სოფელ მარნიდან ოზურგეთისაკენ დაიძრა. 1841 წლის 19 სექტემბერს, გურიაში შესვლის წინ, ქუთაისში ერევნის კარაბინერთა პოლკის 2 ასეულის მიერ დატოვებული სამთო არტილერიის ოზურგეთში გადატანის შემდეგ, პოლკოვნიკი არღუთინსკი სოფელ გურიანთისაკენ დაიძრა, სადაც რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ყველაზე მეტმა მცხოვრებმა არ დაიფიცა. იმ დროისათვის გურიანთაში 600 კომლი იყო. შედარებით ფართო და ხერგილებისაგან გაწმენდილი გზის მონაკვეთის გავლის შემდეგ ვიწრო და მოუხერხებელი გზით არღუთინსკი იმავე დღეს გურიანთაში შევიდა, სადაც მილიციის 1 რაზმით მაიორი თავადი ნაკაშიძე დატოვა, ხოლო თვითონ 21 სექტემბერს ოზურგეთში დაბრუნდა. 22 სექტემბერს რეგულარული ჯარის 3 ბატალიონით და იმერეთის მილიციით (546 მილიციელი) არღუთინსკი ოზურგეთიდან ფოთისაკენ დაიძრა. ჯარისკაცებმა და მილიციელებმა გზა ხერგილებისაგან გაწმინდეს და სოფელ გრიგოლეთთან მდინარე სუფსაზე აჯანყებულების მიერ დამწვარი ბორანი აღადგინეს, რითაც ფოთსა და წმ. ნიკოლოზის სიმაგრეს შორის სახმელეთო მიმოსვლა აღდგა. ამის შემდეგ არღუთინსკიმ ჯარისა და მილიციის ძირითადი ნაწილი ოზურგეთში გაუშვა, თვითონ კი 50 მილიციელით მდინარე სუფსის ხეობას აღმა აუყვა. 24-25 სექტემბერს წმ. ნიკოლოზის სიმაგრის გარნიზონის ნაწილი, ასევე სოფელ გრიგოლეთში დაბანაკებული რეგულარული ჯარისა და მილიციელთა რაზმები არღუთინსკიმ ოზურგეთში გადაიყვანა. წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში დარჩა ქართველ გრენადერთა პოლკის 1 ასეული. 29 სექტემბერს ოზურგეთი დატოვა სამეგრელოს ეგერთა პოლკის, მე-3 სახაზო ბატალიონის, მე-2 სახაზო ბატალიონის ასეულებმა, ახალციხის მილიციამ და იმერეთის მილიციის ნაწილმა.

1841 წლის 17 სექტემბრიდან 29 სექტემბრამდე არღუთინსკიმ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე კიდევ 2.812 კომლი დააფიცა. დაფიცება ოქტომბრის თვეშიც გაგრძელდა.

1841 წლის 16 ოქტომბერს პოლკოვნიკი არღუთინსკი მცირე რაზმით ოზურგეთიდან სოფელ ლიხაურისაკენ დაიძრა, რათა პირადად დარწმუნებულიყო, რომ აჯანყების კერები აღარ არსებობდა. 3 დღე არღუთინსკი მდინარე ჩოლოქის ნაპირზე იდგა, საიდანაც ოზურგეთში დაბრუნდა.

**3.აჯანყების მონაწილეთა შეპყრობა.**

1841 წლის ოქტომბერ-ნოემბერში აქტიურად მიმდინარეობდა აჯანყების მეთაურების დაპატიმრება. 6 ნოემბრისათვის უკვე შეპყრობილი იყო 16 კაცი, რომელთაგან 10 აჯანყების აქტიურ მოთავეებად ითვლებოდა. აჯანყებულთა მოთავეების შეპყრობის საქმე არღუთინსკიმ რუსეთის ერთგულ ქართველებს მიანდო, რომელთაც დიდი მონდომება გამოიჩინეს. 6 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე შეიპყრეს აჯანყების კიდევ 14 მოთავე, მათ შორის აბესა ბოლქვაძე. **აბესა ბოლქვაძე** იყო 1841 წლის 9 აგვისტოს სოფელ გოგორეთთან ბრუსილოვის რაზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და 1 სექტემბერს ოზურგეთზე შეტევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მას ბრალად ედებოდა ასევე, წმ. ნიკოლოზის სიმაგრიდან ოზურგეთში მიმავალი აღალის გაძრცვა, წმ. ნიკოლოზის სიმაგრის კარანტინისა და საბაჟო შენობების განადგურება, კაზაკების ტყვედ აყვანა და მათი ქობულეთში გაყიდვა. აბესა ბოლქვაძე დანებებას არ აპირებდა, ბრძოლით იხევდა უკან ტყისაკენ. სროლის დროს იგი დაიჭრა, რის შემდეგაც ტყვედ აიყვანეს. აჯანყების მონაწილეთა შეპყრობაში რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნით აქტიურად მონაწილეობდა ქობულეთიდან გურიაში 30 ოქტომბერს შემოსული ოსმალთა რაზმი (1.000 კაცი). რაზმი გამოგზავნილი იყო არზრუმის სერას-ქირის ბრძანებით, რომელსაც აჯანყებულთათვის გაწეული დახმარებისათვის უნდა შეეპყრო ჰასან ბეი თავდგირიძე და მისი ძმა, ხოლო შემდეგ რუსებს აჯანყებულთა შეპყრობაში დახმარებოდა. ჰასან ბეიმ სერასქირის ბრძანება წინასწარ შეიტყო, ქობულეთიდან გაიქცა და ტყეს შეაფარა თავი. ოსმალთა რაზმმა აჭარის ტერიტორიაზე თავშეფარებული ბევრი აჯანყებული შეიპყრო და რუსეთის ხელისუფლებას გადასცა. ამის შემდეგ ოსმალებმა საზღვრის გასწვრივ დაიკავეს პოზიციები, რათა გურიიდან აჭარაში აჯანყებულთა გადასვლა აღეკვეთათ. 15 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე კიდევ აჯანყების 10 მონაწილე შეიპყრეს. რუსებმა ვერ მოახერხეს ტყეში გასული რამდენიმე კაცისხელში ჩაგდება, აჭარაში გადასული რამდენიმე აჯანყებული ვერც ოსმალეთის ხელისუფლებამ შეიპყრო.

აჯანყების ყველა კერის ლიკვიდაციისა და აჯანყების წინამძ-ღოლთა დიდი ნაწილის შეპყრობის შემდეგ არღუთინსკიმ რეგულარული ჯარის ნაწილების დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნება დაიწყო. 1841 წლის 23 ნოემბერს ქუთაისში დაბრუნდა დონის კაზაკთა მე-8 პოლკის რაზმი (1 უფროსი ოფიცერი, 1 ურიადნიკი, 23 კაზაკი) და მე-19 საარტილერიო ბრიგადის რაზმი ზარბაზნებით; 25 ნოემბერს ქუთაისისაკენ დაიძრა ერევნის კარაბინერთა პოლკის ორივე ასეული მე-19 საარტილერიო ბრიგადის ზარბაზნებით და იმერეთის მილიციის ნაწილი (ქვეითები); 30 ნოემბერს ოზურგეთი დატოვა ქართველ გრე-ნადერთა პოლკის მე-2 ბატალიონმა და იმერეთის მილიციის ნაწილმა (ცხენოსნებმა). 30 ნოემბერსვე არ- ღუთინსკიმ ქუთაისში გაგზავნა დაპატიმრებული აჯანყების მონაწილენი (40 კაცი). 8 დეკემბერს პოლკოვნიკი მოვსეს არღუ-თინსკი-დოლგორუკოვი გურიიდან ახალციხეში გაემგზავრა.

**ვახტანგ გურული**

საქართველოს ახალი ისტორია გვ. 523-526)

**(გაგრძელება იქნება)**



ყველა პატარას ვულოცავ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

ვუსურვებ ბედნიერ ბავშვობას, წარმატებებს მომავალ ცხოვრებაში

პატივისცემით,

**ბახვა დოლიძე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე



ვულოცავ ყველა პატარას ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას!

პატივისცემით,

**მიხეილ გოგოტიშვილი**

„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე



ყველა ბავშვს, ჩვენს მომავალს ვულოცავ ბავშვთა დაცვის საერთა-შორისო დღეს!

ვუსურვებ ბედნიერ ბავშვობას, ულევ მზიან დღეებს, გაბრწყინებულ დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრებას!

**თამაზ ტულუში,**

სოფელ ნატანების მაჟორიტარი დეპუტატი



ჩვენო პატარებო! გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ბედნიერებას და ულევ სიხარულს. უფალმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

**ვახტანგ (ბაჩანა) ნიჟარაძე**

სოფელ ვაკიჯვრის მაჟორიტარი დეპუტატი






## სააქციო საზოგადოება „იმედი“ გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

## გინესის 3 ახალი რეკორდი



მძლეოსანმა, ფეხბურთელმა, მრავალგზის ჩემპიონმა მძლეოსნურ კროსში და მსოფლიოს (გინესის) მრავალგზის რეკორსმენმა გოდერძი მახარაძემ 26 მაისს , ქ. ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“ გინესის 3 ახალი რეკორდი დაამყარა.

მისი მიზანი იყო გააუმჯობესებინა თავით ფეხბურთის ბურთით ცალ ფეხზე მონაცვლეობით კენწვლის 2017 წლის 26 მაისს დამყარებული მისივე რეკორდი (1321). მან ამჯერად 1505-ჯერ აკენწლა.

თავით კალათბურთის ბურთით 5 წუთში 500-ზე ნაკლები აკენწვლა –ამჯერად მან 453 აკენწლა.

თავით კალათბურთის ბურთით 5000-ზე მეტი აკენწვლა –ამჯერად მან 5508 აკენწლა. როგორც გოდერძი მახარაძემ გვითხრა, ეს რეკორედები მან მიუძღვნა მისი მეგობრისა და მეჯვარის ვასუკა ვასაძის ხსოვნას. გინესის ახალი რეკორდების გენერალური სპონსორი იყო „NOVA“.

ორგანიზატორები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი და სპორტის განვითარების ცენტრი (გელა შაფაქიძე).

# საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი



24 მაისს ნატანების გივი წითლიძის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა ამ სოფლის მკვიდრ აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ირაკლი (ძმია) ბაქანიძის ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში 2006-2007 წლებში დაბადებულ ბავშვთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ სოფელ შრომის (მწვრთნელი – კობა ჭკუასელი) და დაბა ნასაკირალის (მწვრთნელი – რამაზ ანთიძე) გუნდები, ასევე ქვემო ნატანების „ნარინჯი“ (მწვრთნელი თემურ ღლონტი) და ზემო ნატანების „სამღვთო“ (მწვრთნელი – გია ტულუში)

ტურნირი გაიხსნა ამხანაგური მატჩით, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ 2008-2010 წლებში დაბადებული ბავშვებით დაკომპლექტებული ნატანებისა და ნასაკირალის გუნდები. სანახაობრივად ლამაზი მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა. ამას მოჰყვა ნახევარფინალური მატჩები, „ნარინჯმა“ დაამარცხა ნასაკირალი, ხოლო „სამღვთომ“ მოუგო შრომელ თანატოლებს.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ნასაკირალმა დაამარცხა შრომის გუნდი. ვიდრე ფინალური მატჩი დაიწყებოდა სპორტულ დარბაზში მოსულმა მრავალრიცხოვანმა გულშემატკივარმა იხილა ნატანებელი ვეტერანი ფეხბურთელების საჩვენებელი მატჩი, რომელმაც ძალზე მხიარულ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალური მატჩი თანასოფლელებს შორის, ძალზე დაძაბული აღმოჩნდა. უშეღავათო ბრძოლაში „სამღვთომ“ შეძლო მინიმალური ანგარიშით მოგება, 3:2 ასე დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი და ტურნირის გამარჯვებული „სამღვთო“ გახდა.

პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ თასები, დიპლომები და შესაბამისი ხარისხის მედლები, ხოლო მეოთხე ადგილზე გასულ შრომის გუნდს – თასი და დიპლომები.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი 5 გატანილი გოლით გახდა გუჯა ნათიძე („სამღვთო“).

ტურნირმა წარმოაჩინა პერსპექტიული, იმედის მომცემი ნორჩი ფეხბურთელები: ნასაკირალიდან – ანრი ანთაძე, ზაზა ირემაძე, ანზორ ფუტკარაძე; შრომიდან – ლევან ბოლქვაძე, გიორგი აკოფიანი, ლუკა ფუტკარაძე; ნატანებიდან – დათო აკობიძე, სოსო ცენტერაძე, ლუკა პაატას ძე მიმინოშვილი, გიგა და გუჯა ნათიძეები, ალეკო ცერცვაძე, შოთა თარხნიშვილი.

პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები 5-5 ცალი საფეხბურთო ბუცით დაასაჩუქრა გივი წითლიძის შვილიშვილმა, ბატონმა აკაკი წითლიძემ.

ტურნირი ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე, ყოველგვარი ექსცესების გარეშე, ყველა მატჩზე დარბაზი სავსე იყო გულშემატკივრებით.

გაწეული დახმარებისა და გვერდში დგომისათვის ტურნირის ორგანიზატორები დიდ მადლობას ვუხდით ბატონებს: აკაკი წითლიძეს, გელა შაფაქიძეს, ზურაბ დოლიძეს, გოჩა კრასოტკინს, გოდერძი მახარაძეს, თამარ აროშიძეს, ნაირა კვაჭაძეს, ნატო ნიკოლაიშვილს, ილია ნიკოლაიშვილს, ვახტანგ და ვასიკო გობრონიძეებს, ამირან ბაქანიძეს, თამაზ ტულუშს, ლაშა ბოლქვაძეს, ლავრო კოსტავას, დათო არობელიძეს, დათო ღლონტს, პაატა მიმინოშვილს და, რა თქმა უნდა, ბავშვთა მშობლებს.

ასევე მადლობა ლაშა ფირცხალაიშვილს, რომელმაც ნორჩ ფეხბურთელებს გადასაცმელები (ე. წ. „ნაკიდკები“) აჩუქა.

ირაკლი (ძმია) ბაქანიძის ხსოვნის ტურნირი ამიერიდან ყოველი წლის მაისში გაიმართება.

ირაკლი (ძმია) ბაქანიძე დაიბადა სოფელ ნატანებში 1972 წლის 13 მარტს. 1989 წელს დაამთავრა ნატანების №2 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ლაითურის ჩაის ტექნიკუმში, საიდანაც 1992 წლის მაისში გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1992 წლის 29 ნოემბერს 20 წლის ირაკლი გმირულად დაიღუპა ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარას განთავისუფლების დროს.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 3 ივნისი სამშაბათი | 4 ივნისი სამშაბათი | 5 ივნისი ოთხშაბათი | 6 ივნისი ხუთშაბათი | 7 ივნისი პარასკევი | 8 ივნისი შაბათი | 9 ივნისი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +17+29 | მცირე წვიმა, +17+26 | მზე, ღრუბელი +18+27 | მზე, ღრუბელი +18+30 | მზე, ღრუბელი +16+24 | ელ-ჭექი +16+25 | ელ-ჭექი +16+26 |